საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
საგამოძიებო სამსახური

ბრძანება N 26

27.02.2019

ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 31 დეკემბრის N485 ბრძანება „სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N424 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ დანართი N1 ,,სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ ინსტრუქციის“ მე-4 მუხლის მე-8 პუნქტის, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 30 ნოემბრის N790 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის დებულების“ მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ე“ და „თ“ ქვეპუნქტებისა და „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის უფროსსა და უფროსის მოადგილეებს შორის საკურატორო სფეროების განსაზღვრისა და სამსახურის უფროსის მოადგილეებისათვის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ“ საგამოძიებო სამსახურის უფროსის 2018 წლის 14 დეკემბრის N83 ბრძანების მე-2 მუხლის მეოთხე პუნქტისა და მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ეკონომიკურ დეპარტამენტს, მიმდინარე წლის 5-8 მარტს იტალიის რესპუბლიკის ფინანსურ გვარდიასთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმების ცერემონიაზე დაგეგმილი ვიზიტის ფარგლებში სასაჩუქრე ეგზემპლარების (ალკოჰოლური სასმელი, ტკბილეული) შესყიდვის უზრუნველყოფა.

2. ხარჯები ანაზღაურდეს 2019 წლის წარმომადგენლობითი ხარჯების ფარგლებში.

3. ბრძანება გაეცნოს დაინტერესებულ პირებს.

4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია ერთი თვის განმავლობაში კანონმდებლობით დადგენილი წესით, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N 6).

საფუძველი: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის უფროსის მოადგილის 2019 წლის 26 თებერვლის N 15-02 – 842 მოხსენებითი ბარათი.

იგა ზაალიშვილი

სამსახურის უფროსის მოადგილე